მიქელანჯელოს დავითი

ალბათ, ბევრი ქანდაკება გინახავს. გაიხსენე რომელიმე მათგანი. ვის გამოსახავს იგი? რა შთაბეჭდილება მოახდინა მან შენზე?



დავითი ბიბლიური გმირია. ის იყო ისრაელის მეორე მეფე. როგორც ვიცით, მან **გოლიათი** მარტომ **დაამარცხა**. მაშინ იგი სულ ახალგაზრდა იყო. სწორედ ამ დავითის ქანდაკება შექმნა მიქელანჯელომ.

ქანდაკების სიმაღლე 5 მ-ია. მასზე მოქანდაკე 1501–1503 წლებში მუშაობდა. მასალად თეთრი მარმარილო გამოიყენა. ცნობილია, ამ ქვისგან ქანდაკების შექმნა ბევრმა მოქანდაკემ მოინდომა. მაგრამ მათ მალევე შეწყვიტეს მუშაობა, რადგან არ მოეწონათ ეს მასალა. მიქელანჯელომ კი სწორედ ამ მარმარილოსგან შექმნა თავისი **შედევრი**. თუმცა თავიდან არავის ეგონა, რომ მისგან რამე გამოვიდოდა.

მიქელანჯელომ ჯერ გარეთ, ღია ცის ქვეშ, დაიწყო მუშაობა. მაგრამ მალე მარმარილოს ლოდი ხარაჩოში ჩასვა. მას არ უნდოდა, ვინმეს ენახა, რას ქმნიდა.

„დავითის“ **დიდებული** ქანდაკების გახსნას ქალაქის მმართველიც დაესწრო. მას ძალიან მოეწონა „დავითი“. თუმცა მოქანდაკეს ერთი შენიშვნა მისცა: შენს ქანდაკებას დიდი ცხვირი აქვსო. მოქანდაკე მაშინვე ზევით ავიდა, **თითქოს** ცხვირის დაპატარავება უნდოდა. თუმცა არაფერი შეუცვლია. მმართველი კი კმაყოფილი იყო „შედეგით“.

„დავითის“ შექმნიდან დიდი დრო გავიდა. თუმცა ის დღემდე რჩება ერთ-ერთ საუკეთესო ქანდაკებად. ის იტალიის სიამაყეა. მის სანახავად უამრავი ტურისტი ჩადის ქალაქ ფლორენციაში.

რა გაიგე დავითის ქანდაკების შესახებ ახალი?

დონე: B გამბრათელი, **კომპონენტი:** იდეა და დეტალები

ტექსტის გაგება

ყოველ შეკითხვას შეურჩიე თითო სწორი პასუხი.

1 რა არის ტექსტის ძირითადი აზრი?

ა) ბიბლიური დავითის ქანდაკება მიქელანჯელომ შექმნა.

ბ) „დავითი“ თეთრი მარმარილოსგან არის გაკეთებული.

გ) ბიბლიურმა დავითმა მარტომ დაამარცხა გოლიათი.

2 რომელი დეტალიდან ჩანს, რომ „დავითი“ დიდებული ქანდაკებაა?

ა) ის მრავალი წლის შემდეგაც კი ერთ-ერთი საუკეთესოა.

ბ) მიქელანჯელო ცოტა ხანს გარეთ, ღია ცის ქვეშ, მუშაობდა.

გ) „დავითის“ ქანდაკების გახსნას მმართველიც დაესწრო.

3 მიქელანჯელომ მარმარილოს ლოდი ხარაჩოში ჩასვა, რადგან:

ა) არ უნდოდა ვინმეს დაენახა მარმარილო.

ბ) არ უნდოდა ვინმეს ენახა, რას ქმნიდა.

გ) არ უნდოდა ქალაქის მმართველს შენიშვნა მიეცა.

4 რომელი დეტალი *არ ჩანს* ტექსტში?

ა) რა სიმაღლის არის დავითის ქანდაკება.

ბ) რატომ აირჩია მოქანდაკემ დაწუნებული მარმარილო.

გ) სად დგას დღეს დავითის ქანდაკება.

▶▶▶ ლექსიკა

1 გაარკვიე ხაზგასმული სიტყვების მნიშვნელობები.

1. დავითი **<u>გოლიათს</u>** შეებრძოლა. **<u>გოლიათი</u>** არის:
   ა) გამოცდილი არსება. ბ) უზარმაზარი არსება. გ) უჭკვიანესი არსება.

2. დავითმა ის **<u>დაამარცხა</u>**. **<u>დაამარცხა</u>** ნიშნავს, რომ:
   ა) აჯობა. ბ) დაიჭირა. გ) შეაშინა.

3. მიქელანჯემომ თავისი **<u>შედევრი</u>** მარმარილოსგან შექმნა. **<u>შედევრი</u>** ნიშნავს:
   ა) ერთადერთ რამეს. ბ) საუკეთესო რამეს. გ) უზარმაზარ რამეს.

4. **<u>დიდებული</u>** ქანდაკების გახსნას ქალაქის მმართველიც დაესწრო.
   ა) ახალი. ბ) უზარმაზარი. გ) შესანიშნავი.

5. მოქანდაკემ ისე გააკეთა, **<u>თითქოს</u>** აპატარავებდა ცხვირს.
   ა) ალბათ. ბ) ვითომ. ა) მართლა.

▶▶▶ გრამატიკა

1 სწორად შეარჩიე გამოტოვებული სიტყვები.

ქანდაკებას	ქანდაკება	ქანდაკების

1. მიქელანჯელომ ---------- ხარაჩოში ჩასვა.

2. ---------- სიმაღლე 5 მ-ია.

3. ---------- უამრავი ტურისტი ნახულობს.

2 დაწერე სიტყვები ნიმუშის მიხედვით.

ნიმუში: მათ დაიწყეს. ***მან დაიწყო.***

მათ მოეწონათ. მას ----------.

მათ შეწყვიტეს. მან ----------.

გრამატიკა

3 რომელი სიტყვებია გამოტოვებული?

1. ---------- დაამარცხა გოლიათი.

   ა) დავითი. ბ) დავითმა. გ) დავითს.

2. მიქელანჯელომ ქანდაკება ---------- შექმნა.

   ა) მარმარილოზე. ბ) მარმარილოსგან. გ) მარმარილოში.

წერა

1 დაწერე ძირითადი ინფორმაცია ქანდაკების შესახებ.

შექმნა მიქელანჯელომ.



2 აღწერე ერთ-ერთი ძეგლი, რომელიც გინახავს.

ისაუბრე: ვისი ძეგლია, რა იცი ამ პიროვნების შესახებ, სად დგას, როგორ გამოიყურება, ვინ არის ავტორი და ა.შ. **გააფორმე შენი ნაწერი ნახატით.**

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____